



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 57100

„16“ ივნისი 2010

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ი. ქუჩაძე ილია ბოცირიძე

„16“ ივნისი 2010 წელი

ფგზ. N2

შპს „თბილისის რელსშესადულებელი ქარხანის“ საფინანსო-ეკონომიკური
საქმიანობის თემატური აუდიტის შედეგების შესახებ

სარჩევი

- შესავალი გვ. 2
- აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები გვ. 2
1. საწარმოს შექმნის სამართლებრივი საფუძველები და საქმიანობა გვ. 3
2. მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მდგომარეობა გვ. 6
3. გაწეული ხარჯების მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან
შესაბამისობის დადაგენა გვ. 7
4. დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხვის მდგომარეობა
..... გვ. 14
5. გრძელვადიანი აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების
მიღების, აღრიცხვისა და განკარგვის მდგომარეობა გვ. 15
6. ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან .. გვ. 16

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და
 უფლებამოსილებანი გვ. 17
 აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები გვ. 18

შესავალი

თემატური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის
 თავმჯდომარის 2010 წლის 29 აპრილის N 51/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - შპს „თბილისის რელსშესადუღებელი ქარხანა“
 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი N21.

აუდიტის ჯგუფი - აუდიტორები ქეთევან ზოზიაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი),
 ბორის მჭედლიშვილი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის მიერ შესწავლილ
 იქნა ერთობლივად.

აუდიტის ვადა - 03/05/2010 – 23/05/2010 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

შპს „თბილისის რელსშესადუღებელი ქარხანა“ - საწარმო
 ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები- ბასს
 სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“ - სააგენტო

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. საწესდებო კაპიტალის დადგენისას გამოყენებულია ქონების შეფასების
 აქტების ტიპიური ფორმები. 2000 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით საწარმოს
 ქონების ღირებულება შეადგენდა 839,1 ათას ლარს, ხოლო საწესდებო კაპიტალი
 განსაზღვრულია 403,2 ათასი ლარის ოდენობით, როგორც ქონების საწყისი გასაყიდი
 ფასი გვ. 3

2. საწარმოს დირექტორთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება,
 რომლითაც ვალდებულებითი და სამართლებრივი ურთიერთობები უნდა
 დარეგულირებულიყო ერთი მხრივ საწარმოებსა და დირექტორს და მეორეს მხრივ
 სააგენტოსა და დირექტორს შორის გვ. 4

3. 2008 წელს საწარმოო ხარჯები არასწორადაა გაზრდილი 6,07 ათასი
 ლარით და შესაბამისად შემცირებულია სააღრიცხვო მოგება გვ. 7

4. შესყიდვების განხორციელებისას არ არის დაცული მონეტარული
 ზღვრები, ადგილი აქვს თანხების არარაციონალურ ხარჯვას გვ. 8

5. 2009 წელს გადახდილია 6,1 ათასი ლარის პროცენტის თანხა, რითაც
 გაიზარდა ხარჯი გვ. 11

6. აუდიტორულ მომსახურებებზე გახარჯულია 16,9 ათასი ლარი ისეთ
 საქმიანობაზე, რაც შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო საკუთარი
 შესაძლებლობებით გვ. 12

1. საწარმოს შექმნის სამართლებრივი საფუძველები და საქმიანობა

შპს „თბილისის რელსშესადულებელი ქარხანა“ დაფუძნდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მფლობელობაში არსებული რელსშესადულებელი მატარებელი N40-ის ბალანსზე რიცხული ქონების ბაზაზე (შპს „საქართველოს რკინიგზის“ 2000 წლის 16 ოქტომბრის N150/ნ ბრძანება), რომლის საწესდებო კაპიტალის 100% დარჩა შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში. სააგენტოს 2007 წლის 17 ივლისის N1-3/490 ბრძანებით შპს „თბილისის რელსშესადულებელი ქარხანა“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემდგომი განკარგვის მიზნით ამოღებული იქნა შპს „საქართველოს რკინიგზის“ საწესდებო კაპიტალიდან, რომელიც ხელახლად იქნა რეგისტრირებული როგორც სახელმწიფო წილობრივი თანამონაწილეობით შექმნილი საწარმო, რომლის 100%-იანი წილის ფლობელი არის სახელმწიფო.

საწესდებო კაპიტალის დადგენისას გამოყენებულია ქონების შეფასების აქტების ტიპური ფორმები (დანართი 1-9)¹. ფორმებში შეტანილი მონაცემებით 2000 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით საწარმოს ქონების ღირებულება შეადგენდა 839,1 ათას ლარს, ხოლო საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 403,2 ათასი ლარის ოდენობით, როგორც ქონების საწყისი გასაყიდი ფასი.

საწარმო მდებარეობს ქ. თბილისში, კახეთის ჩიხი N21-ში და სადგურ ბროწეულაში. ქ. თბილისში საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ფართობი შეადგენს 40744 კვ.მეტრს, რომელზეც განთავსებულია 11 ერთეული შენობა-ნაგებობა.

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარკინიგზო რელსების შედუღება-დადუღებითი სამუშაოები (როგორც სტაციონარში, ასევე უშუალოდ ხაზზე მოძრავი მექანიზმების საშუალებით). გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობისა საწარმოს შეუძლია აწარმოოს მზა პროდუქცია, კერძოდ: ხიშტა და სახვეტი ნიჩბები, წერაქვი, წვეტიანი ძალაყინი, სატაბიკულე ძალაყინი, სატაბიკულე ჩაქუჩი, ლითონის საყელურები, მცირე მექანიზაციის ხელსაწყოები.


2008-2009 წლებში საწარმოს ბალანსზე ირიცხებოდა 4 ერთეული მოძრავი რელსშესადულებელი მანქანა, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება უშუალოდ ხაზზე შედუღება-დადუღებითი სამუშაოები, კერძოდ: ჯვარედინების დადუღება, რელსების ბოლოებზე არსებული ღრმულების დადუღება, უპირაპირო რელსების წნულების შედუღება უშუალოდ ხაზზე, დეფექტური უპირაპირო რელსების წნულების შედუღება უშუალოდ ხაზზე, რკინა ბეტონის განძელებზე გისოსებურად არსებული რელსების უპირაპირო წნულებად შედუღება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის შიგნით საწარმოს კონკურენტი არ გააჩნია. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე მისი საქმიანობა შესაძლოა შეფასდეს ექსკლუზიურ საქმიანობად ქვეყნის მასშტაბით. იგი ემსახურება სარკინიგზო ტრანსპორტის სისტემაში შემავალ საწარმოებს, თუმცა რეალურად საწარმოს ძირითადი შემკვეთი შპს „საქართველოს რკინიგზაა“.

საშტატო განრიგით 2008 წელს საწარმოში ირიცხებოდა სულ 113 თანამშრომელი, აქედან ადმინისტრაციაში - 29, ხოლო 2009 წელს - 111

¹ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 11,03,1998 წლის N1-3/185 ბრძანება „საპრივატიზაციო ქონების (ობიექტების) შეფასების აქტების ტიპური ფორმების (დანართი 1-9) დამტკიცების შესახებ“.


თანამშრომელი, მათ შორის ადმინისტრაციაში - 27. საწარმოს ადმინისტრაციის სტრუქტურა შემდეგია:



საწარმოს ხელმძღვანელობს დირექტორი. მისი ვალდებულებითი და სამართლებრივი ურთიერთობები ერთის მხრივ საწარმოსთან და მეორეს მხრივ სააგენტოსთან უნდა რეგულირდებოდეს სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით², თუმცა ასეთი ხელშეკრულება აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი ვერ იქნა.


საწარმოს საფინანსო ეკონომიკურ სამსახურის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში შედის საწარმოს საწყობი, რომელშიც დასაქმებულია ერთი თანამშრომელი (საწყობის გამგე). შესაბამისად საწყობში საქონლის მიღებას, აღრიცხვასა და გაცემას აწარმოებს საწყობის გამგე, რაც კონტროლის არარსებობაზე მიუთითებს. კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს ასევე ის ფაქტი, რომ საწარმოში 2008 წელს არ იყო დანიშნული შესყიდვების კოორდინატორი.

საწარმოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:




² სააგენტოს 2009 წლის 27 მაისის N1-3/238 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო 50%-ზე მეტი წილობრივი თანამონაწილეობით არსებული სააგენტო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმები“.

საწარმოს 2000-2009 წლების საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაცია მოცემულია გრაფიკების სახით:




როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2005 წლიდან საწარმო ზარალიანია. მხოლოდ 2008 წელი დაასრულა საწარმომ მოგებით, თუმცა აღნიშნული მოგებით მოხდა წინა წლების ზარალის გადაფარვა. ასე, რომ სახელმწიფო როგორც დამფუძნებელი, ვერ იღებს დივიდენდს ამ საწარმოდან.

საწარმოს ფინანსური საქმიანობის შესაფასებლად სხვადასხვა კოეფიციენტები შეიძლება იქნეს გამოყენებული. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოეფიციენტია წმინდა აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ფარდობით წმინდა აქტივებთან. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება მიღებული შემოსავალი საწარმოს წმინდა აქტივებს.



შემდეგი ძირითადი მაჩვენებელი ფინანსური საქმიანობისა არის წმინდა მოგების მარჟა, რომელიც გაიანგარიშება დასაბეგრი მოგების ფარდობით

რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებთან. ის გვიჩვენებს თუ რა პროცენტული წილი უკავია მოგებას ამონაგებში.




რეკომენდაცია:

ხელმძღვანელობამ უნდა გაანალიზოს საწარმოს საქმიანობა ზემოთ აღნიშნული და სხვა მაჩვენებლების დახმარებით, გამოავლინოს ზარალის გამომწვევი მიზეზები (არასწორი დაგეგმვა, ხარჯების გაზრდა და სხვა) და იმის გათვალისწინებით, რომ მისი საქმიანობა ქვეყნისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მოიძიოს გზები საწარმოს საქმიანობის მომგებიანად წარმართვისათვის.

2. მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მდგომარეობა

საწარმოს ძირითად შემოსავალს წარმოადგენს შპს „საქართველოს რკინიგზიდან“ მიღებული შემოსავლები, რომელმაც 2008 წელს შეადგინა 891,8 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს - 597,0 ათასი ლარი. სხვა საწარმოებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2008 წელს შეადგინა 2,4 ათასი ლარი, მთლიანი შემოსავლის 0.27%, და 2009 წელს - 3,4 ათასი ლარი, მთლიანი შემოსავლის 0.57%.

შემოსავლები



3. გაწეული ხარჯების მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა

2008 წელი

საწარმოს მიერ 2008 წელს მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 894,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა კი - 773,3 ათასი ლარი, მათ შორის: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება - 465,6 ათასი ლარი, კომერციული ხარჯები - 21,6 ათასი ლარი, ადმინისტრაციული ხარჯები - 271,1 ათასი ლარი, სხვა საწარმოო ხარჯები - 15,0 ათასი ლარი. ხარჯების პროცენტული თანაფარდობა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:

მთლიანი ხარჯები - 2008 წელი




სხვა საწარმოო ხარჯებიდან 4,5 ათასი ლარი შეადგენს წყალდიდობით მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად გაწეულ ხარჯებს, 0,7 ათასი ლარი - გადახდილ ჯარიმას და 0,87 ათასი ლარი საკურსო სხვაობას. გადახდილი ჯარიმები, ზარალი სტიქიური უბედურების შედეგად და ვალუტის კურსებს შორის უარყოფითი სხვაობა მიეკუთვნება საწარმოს ფინანსურ შედეგს³ და არა საწარმოო ხარჯებს. აქედან გამომდინარე, 2008 წელს საწარმოო ხარჯები არასწორად გაიზარდა 6,07 ათასი ლარით და შესაბამისად სააღრიცხვო მოგება ნაცვლად 129,7 ათასი ლარისა უნდა ყოფილიყო 135,8 ათასი ლარი.

შესყიდვები

საწარმოს 2008 წელს სახელმწიფო შესყიდვების თავდაპირველი წლიური გეგმით დაგეგმილი იყო 141,2 ათასი ლარის შესყიდვის განხორციელება, წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად გეგმამ 395,0 ათასი ლარი, წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ 324,5 ათასი ლარი, ხოლო გადახდამ კი 279,9 ათასი ლარი შეადგინა.

2008 წლის განმავლობაში საწარმოს მიერ განხორციელებული შესყიდვები მოცემულია გრაფიკის სახით:

³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 64 მუხლი.



საწვავი:

2008 წლის 8 იანვარს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“-თან გაფორმებული ხელშეკრულებების მიღება-ჩაბარების აქტების დეტალური შესწავლით დადგინდა, რომ საწარმოს ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწვავის მოცულობებისა რეალურად მიღებული (შემენილი) აქვს 1750 ლიტრით მეტი საწვავი და შესაბამისად ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ნაცვლად 38,6 ათასი ლარისა (სახელშეკრულებო ღირებულებისა, რომელსაც ცვლილება არ განუცდია) განახორციელა 42,5 ათას ლარზე⁴. აღნიშნული შესყიდვა განხორციელდა ფასთა კოტირების საშუალებით.

ამავე წლის 26 მარტს საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვის მიზნით საწარმოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში პირველ და მე-2 ლოტზე (ბენზინი, დიზელი) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება დაიდო 2008 წლის 18 აპრილს 125,7 ათასი ლარის საწვავის შესყიდვაზე. თუმცა ამ უკანასკნელი ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდება და შესაბამისად გადახდა განხორციელდა მხოლოდ 54,5 ათას ლარზე.

სულ 2008 წლის განმავლობაში განხორციელდა 97,0 ათასი ლარის საწვავის (ბენზინი-დიზელი) შესყიდვა. მათ შორის: 42,5 ათასი ლარის შესყიდვა განხორციელდა ფასთა კოტირების საშუალებით, ხოლო 54,5 ათას ლარზე გამოცხადდა ტენდერი. შემსყიდველის მხრიდან არ მოხდა ერთგვაროვანი საქონელის ერთი ტენდერის საშუალებით შესყიდვა⁵.

⁴ არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

⁵ შედეგად არ იქნა დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

სახეები ქვები:

2008 წლის 1 აპრილის სახეები ქვების შესყიდვის მიზნით მოწვევა ფასთა კოტირების პროცედურაში მონაწილეობისათვის გაეგზავნა შპს „სისამს“, შპს „ელჯეის“ და ი/მ „გოგიტა გვენეტაძეს“. უმცირესი ფასი აღნიშნულ საქონელის მოწოდებაზე წარმოადგინა შპს „სისამს“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2008 წლის 8 აპრილს 48,2 ათასი ლარის ღირებულების სახეები ქვების შესყიდვაზე. მაშინ, როდესაც 2008 წლის 13 თებერვალს და 8 აპრილს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ი.მ. „რამაზ ცერცვაძესთან“ გაფორმებული იყო ორი ხელშეკრულება 10,4 ათას და 3,8 ათას ლარზე იგივე სახეები ქვების შესყიდვაზე. სულ 2008 წლის განმავლობაში საწარმოს მიერ შესყიდული იქნა 62,3 ათასი ლარის სახეები ქვები⁶.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2008 წლის 8 აპრილს ი.მ. „რამაზ ცერცვაძესთან“ ერთი ერთეული სახეები ქვა (ზომით 300x40x76) შეძენილია 42 ლარად, ხოლო იმავე დღეს უკვე შპს „სისამსთან“ იგივე სახეები ქვების შესყიდვაზე გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც ერთი ერთეული სახეები ქვის (ზომით 300x40x76) ფასი 49 ლარია. იმის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეძენილია 700 ერთეული 300x40x76 ზომის სახეები ქვები ი.მ. „რამაზ ცერცვაძესგან“ შეძენილი საქონელის ერთეულის ღირებულებებთან შედარებით ირკვევა, რომ საწარმოს მიერ არარაციონალურად გახარჯულმა თანხამ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში 4,9 ათასი ლარი შეადგინა.

საწარმოსა და მიმწოდებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში უმრავლეს შემთხვევებში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი დებულებით განსაზღვრული ხელშეკრულების აუცილებელი პირობები (ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები, ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან/და მთლიანი ღირებულება და სხვა)⁷.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სამ შემთხვევაში 2008 წლის 9 სექტემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ი.მ. ვლადიმერ რიზაევთან, 2008 წლის 16 სექტემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ი.მ. „გიორგი გალუსტოვთან“ და 2008 წლის 13 თებერვალს გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ი.მ. „რამაზ ცერცვაძესთან“ საწარმოს მხრიდან არ მომხდარა შეტყობინების გაგზავნა სააგენტოსთვის 5,0 ათას ლარზე მეტი ღირებულების საქონელის შესყიდვის პროცედურების დაწყების თაობაზე⁸.

⁶ შედეგად არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

⁷ არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა.


⁸ აღნიშნულით არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა.

2009 წელი

საწარმოს მიერ 2009 წელს მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 600,4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა კი - 750,8 ათასი ლარი, მათ შორის: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება - 406,4 ათასი ლარი, კომერციული ხარჯები - 10,8 ათასი ლარი, ადმინისტრაციული ხარჯები - 318,1 ათასი ლარი, სხვა საწარმოო ხარჯები - 7,3 ათასი ლარი, გაუთვალისწინებელი ხარჯები - 8,2 ათასი ლარი (აქედან სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული მკურნალობის ხარჯი 7,7 ათასი ლარი და ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების დაზუსტებით ნაშთის გასწორება - 0,5 ათასი ლარი). მიყენებული ზარალისათვის გადახდილი თანხები, ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ჩამოწერით გამოწვეული ზარალი⁹ მიეკუთვნება საწარმოს ფინანსურ შედეგებს.

2009 წლის ხარჯების პროცენტული თანაფარდობა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:


მთლიანი ხარჯები 2009 წელი



უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელს გაზრდილია ადმინისტრაციული ხარჯები 2008 წელთან შედარებით 47,0 ათასი ლარით. მათ შორის ხელფასი - 8,3 ათასი ლარის ოდენობით, ელექტროენერგია - 2,8 ათასი ლარის ოდენობით, მივლინება - 3,8 ათასი ლარის ოდენობით, აუდიტორული მომსახურება - 24,0 ათასი ლარის ოდენობით, მცირეფასიანი ინვენტარი - 3,2 ათასი ლარის ოდენობით და სხვ. 2008-2009 წლების ადმინისტრაციული ხარჯები მოცემულია ცხრილის და გრაფიკის სახით:

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 64 მუხლი.

ადმინისტრაციული ხარჯები	2008 წ.	2009 წ.	მატება/კლება
შრომის ანაზღაურება	208,049	216,337	8,288
მივლინება	405	4,210	3,805
საოფისე ინვენტარი (ხარჯი)	13,816	21,452	7,636
საწვავი	9,022	9,061	39
კომუნიკაციის ხარჯები	6,564	6,175	-389
რემონტი	0	8,184	8,184
კომპიუტერის ხარჯები	785	1,321	536
იურიდიული და აუდიტორული ხარჯები	10,646	35,204	24,558
ცვეთა და ამორტიზაცია	5,906	7,248	1,342
სხვა საერთო ხარჯი	15,925	8,898	-7,027
სულ	271,118	318,090	46,972



საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსის მიერ 2009 წლის ზარალის გამომწვევი მიზეზების ჩამონათვალში საუბარია გეგმით გაუთვალისწინებელ ხარჯებზე. მათ შორის:

➤ სესხის პროცენტი:

საწარმოსა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის 2008 წლის 20 თებერვალს გაფორმებული Nშს/08-055 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-6 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულება მიმწოდებელს (საწარმოს) აუნაზღაურდება შემსყიდველისათვის (შპს „საქართველოს რკინიგზა“) მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 20 საბანკო დღის ვადაში, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად. 2008 წლის 8 დეკემბრამდე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების და მის შესაბამისად გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურების ღირებულება (120,8 ათასი ლარი, მათ შორის: 30.09.08 წ. – 14,2 ათასი ლარი, 31.10.08 წ. – 36,4 ათასი ლარი, 17.11.08 წ. – 70,2 ათასი ლარი), არ იყო გადახდილი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

2008 წლის 8 დეკემბერს საწარმო სააგენტოს მიმართავს წერილით, რომელშიც აღნიშნავს რომ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ მის მიმართ გააჩნია დავალიანება, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ ანაზღაურებს. საწარმოს კი შეექმნა ფინანსური პრობლემა (ხელფასი, ბიუჯეტი, მიმდინარე ხარჯები) და ითხოვს სს „სტანდარტ ბანკიდან“ სესხის აღების უფლებას, რაზედაც მიიღო სააგენტოს წერილობითი თანხმობა.

თავის მხრივ შპს „საქართველოს რკინიგზა“ აღიარებს დავალიანებას საწარმოს მიმართ 2008 წლის 15 დეკემბრის N3 შეთანხმებით. 2008 წლის 23 დეკემბერს საწარმომ სს „კორ სტანდარტ ბანკთან“ გააფორმა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება N0316 – 58000 ათას აშშ დოლარზე (102,4 ათას ლარი), რის გამოც მან 2009 წელს გადაიხადა 6,1 ათასი ლარი პროცენტის თანხა და შესაბამისად გაიზარდა ხარჯი.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ზემოაღნიშნული დავალიანება და 2008 წლის დეკემბერში წარმოქმნილი დავალიანება დაფარულ იქნა 2009 წლის 3 თებერვლიდან 25 მარტამდე პერიოდში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს 2006 წლის პირველ კვარტალში შპს „საქართველოს რკინიგზის“ შეკვეთით შესრულებული აქვს 270,4 ათასი ლარის სხვადასხვა სამუშაო, რომელზეც შედგენილია სათანადო მიღება-ჩაბარების აქტები და გამოწერილია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები. სატენდერო ხელშეკრულება კი გაფორმდა მხოლოდ 2006 წლის აპრილის თვეში და პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოების ღირებულება შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ანაზღაურებული არ იქნა. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სასამართლო დავა და 2010 წლის აპრილის თვეში მოხდა თანხების ჩამორიცხვა საწარმოს ანგარიშზე.

➤ აუდიტორული მომსახურების ხარჯები

2009 წელს აუდიტორულ მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 24,5 ათასი ლარი. აქედან საწარმოს მიერ წარმოდგენილი ცნობით 7,6 ათას ლარს წარმოადგენს 2008 წლის ბალანსზე სააგენტოს დავალიანებით მოთხოვნილი აუდიტორული დასკვნისთვის გაწეული ხარჯი. რაც შეეხება დანარჩენ 16,9 ათას ლარს იგი გადახდილია აუდიტორების მიერ შესრულებულ შემდეგ სამუშაოებზე:

- 2006-2008 წლებისა და 2009 წლის 6 თვეში საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების აუდიტი. შემოწმებას დაექვემდებარება: დღგ, საშემოსავლო, სოციალური, ქონების და მოგების გადასახადები;

- აღნიშნული გადასახადების გაანგარიშების და დეკლარირების სისწორის შემოწმება, კორექტირებული დეკლარაციების შედგენა (ხელშეკრულება 31.07.2009 წ. ღირებულება - 17,8 ათასი ლარი, დღგ-ს ჩათვლით).

- ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია;

- ძირითადი საშუალებების შეფასება სამართლიანი ღირებულებით;

- ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ჩამოწერის აქტების დადასტურება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად (ხელშეკრულება N21 1.12.2009 წ. ღირებულება - 11,4 ათასი ლარი, დღგ-ს ჩათვლით).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საწარმოს საფინანსო ეკონომიკურ სამსახურში 2009 წელს ირიცხებოდა: საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსი, ბუღალტერ ეკონომისტი, ეკონომისტი და ბუღალტერი. ასევე, საწარმოს დირექტორის 2009 წლის

30 სექტემბრის N6 ბრძანებით (ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ) შექმნილია კომისია შვიდი წევრის შემადგენლობით, რომელთაც ევალებოდათ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ასეთ პირობებში მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ზარალიან საწარმოში ზემოთ ხსენებულ აუდიტორულ მომსახურებებზე 16,9 ათასი ლარის გადახდა.

➤ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული მკურნალობის ხარჯები

2006 წლის აგვისტოდან მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი ყოფილ თანამშრომელთან, რომელიც ითხოვდა საწარმოო პროცესში მის ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. 2008 წლის აპრილში სასამართლო გადაწყვეტილებით საწარმოს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება. (გადაწყვეტილება საწარმოს ჩაბარდა 2008 წლის აგვისტოში). აქედან გამომდინარე, აღნიშნული ხარჯი 2009 წელს ვერ მიეკუთვნებოდა გაუთვალისწინებელ ხარჯებს, რადგან მასზე შექმნილი უნდა ყოფილიყო ანარიცხი. ბასს-ის მიხედვით „ანარიცხი უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც: ა) საწარმოს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; ბ) სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და გ) შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება¹⁰.

რეკომენდაციები:

➤ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს სახელმწიფო შესყიდვების ფორმის (საშუალების) სწორად შერჩევაზე. უნდა იყოს დაცული შესყიდვის საშუალებებისათვის კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრები;

➤ ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე საწარმომ ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების მიზნით;

➤ აცნობოს სააგენტოს 5000 ლარზე მეტი ღირებულების შესყიდვის პროცედურების დაწყების თაობაზე;

➤ სრულად ასახოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში დებულებით მოთხოვნილი ყველა აუცილებელი პირობა.

➤ საწარმოს ხელმძღვანელობამ იზრუნოს დებიტორული დავალიანების დროულად ამოღებაზე და შესაბამისად ზედმეტი ხარჯების (პროცენტის ხარჯის) თავიდან აცილებაზე.

➤ არ გასწიოს დამატებითი ხარჯები ისეთ სამუშაოებზე, რომლის შესრულება შესაძლებელია საკუთარი კადრებით.

➤ სწორად აწარმოოს ხარჯების აღრიცხვა მათი სახეების მიხედვით და შესაბამისად სააღრიცხვო მოგების გაანგარიშება.

¹⁰ ბასს 37 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 14.

➤ როგორც აღვნიშნეთ, საწარმოს ძირითადი შემკვეთი შპს „საქართველოს რკინიგზაა“. თუ საწარმო იქნებოდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ შემადგენლობაში ადგილი არ ექნებოდა მათ შორის ანგარიშსწორებას (მით უმეტეს მის დაგვიანებას) და საჭირო არ გახდებოდა სესხის აღება და პროცენტის სახით დამატებითი ხარჯის გაწევა. ხარჯის შემცირება შესაძლებელი იქნებოდა აგრეთვე ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით, რადგან შემცირდებოდა საშტატო რიცხოვნება და შესაბამისად მათზე გაწეული დანახარჯები (იურიდიულ და აუდიტორულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, კომუნიკაციის ხარჯები, შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები, ადმინისტრაციისათვის ძირითადი საშუალებების შეძენაზე გაწეული დანახარჯები და სხვა).

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საწარმო შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერ(ებ)ში წლების განმავლობაში იმარჯვებს. აღნიშნული უკვე ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან საწარმოს ქვეყნის შიგნით კონკურენტი არ გააჩნია. ეს უკანასკნელიც იწვევს დამატებით ფინანსურ და დროით დანახარჯებს.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებაში გამოყენებული ძირითადი საშუალებები მოძველებულია (ექსპლუატაციაში შესულია 80-90-იან წლებში) და ვერ ხდება მათი განახლება სახსრების უქონლობის გამო. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოხდებოდა ამ ორი საწარმოს შერწყმა შესაძლებელი იქნებოდა ძირითადი საშუალებების განახლება, რაც მკვეთრად შეამცირებდა ამჟამად მათზე გაწეულ რემონტის ხარჯებს (2008 წ. – 44,5 ათასი ლარი, 2009 წ. – 49,1 ათასი ლარი).

4. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის მდგომარეობა


2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოს დებიტორული დავალიანება შეადგენდა 252,9 ათასი ლარს, აქედან 134,9 ათასი ლარის დავალიანება ერიცხებოდა შპს „საქართველოს რკინიგზას“, ხოლო 115,2 ათასი ლარი წარმოადგენდა ბიუჯეტის სასარგებლოდ ინკასოთი ჩამოწერილი თანხას. აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით წარმოებდა სასამართლო დავები და საქმე დამთავრდა საწარმოს სასარგებლოდ. 2009 წელს მოხდა საბიუჯეტო თანხების ჩათვლა, ხოლო 2010 წლის აპრილში შპს „საქართველოს რკინიგზისგან“ დაიფარა აღნიშნული დავალიანება.

რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებას, 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იგი შეადგენდა 13,4 ათასი ლარს.

2010 წლის 1 იანვრისთვის დებიტორული დავალიანება შემცირებულია და შეადგენს 83,8 ათასი ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება გაიზარდა და შეადგენს – 18,0 ათასი ლარს.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ძირითადი ნაწილი გარდამავალია და იფარება მომდევნო თვეებში.

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები



	01.01.08	01.01.10
დებიტორული დავალიანება	252901,15	83751,29
კრედიტორული დავალიანება	13448,41	17943,08

5. გრძელვადიანი აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების აღრიცხვისა და განკარგვის მდგომარეობა

საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

2008 წელი

	ნარჩენი ღირებულება 01.01.08	შეძენა 2008 წ.	ცვეთა 2008 წ.	ნარჩენი ღირებულება 01.01.09
დაუმთავრებელი მშენებლობა		2 560		2 560
შენობა-ნაგებობები	68 884		3 444	65 440
მანქანა-დანადგარები	187 410	2 670	15 182	174 898
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	17 057		3 389	13 668
სატრანსპორტო საშუალებები	46 049		4 991	41 058
არამატერიალური აქტივები	1 069		242	827
სულ:	320 469	5 230	27 248	298 451

2009 წელი

	ნარჩენი ღირებულება 01.01.09	გადატა- ნა*	შემენა 2009 წ.	აღდგე- ნა**	ცვეთა 2009 წ.	ნარჩენი ღირებულება 01.01.10
დაუმთავრებელი მშენებლობა	2 560		956			3 516
შენობა-ნაგებობები	65 440	16 629			3 291	78 778
მანქანა-დანადგარები	174 898	-16 024	63 213	2 914	18 112	206 889
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	13 668	-348	7 245	6 041	5 324	21 282
სატრანსპორტო საშუალებები	41 058	-220	23 601		10 849	53 590
არამატერიალური აქტივები	827	-37			118	672
სულ:	298 451		95 015	8 955	37 694	364 727

* საწარმოს მიერ წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, ძირითადი საშუალებები 2009 წლამდე არასწორად იყო ასახული ანგარიშებზე. 2009 წლის ინვენტარიზაციის შედეგად ძირითადი საშუალებების მიკუთვნება მოხდა შესაბამის ჯგუფებზე, რამაც გამოიწვია ანგარიშებზე თანხის გადატანა.

** 2008 წელს 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები (ჩამონათვალი მოცემულია დანართში) ჩამოწერილი იქნა ხარჯებში საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის მიხედვით. ბასს-ის მიხედვით კი ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: ა) იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება: საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად¹¹. 2009 წელს აღნიშნული შეცდომა გასწორებულ იქნა და მოხდა ძირითადი საშუალებების აღდგენა.

2008 და 2009 წლებში საწარმოში ჩატარებულია სასაქონლო მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებების, მზა პროდუქციის, ფულადი სახსრების ინვენტარიზაცია. 2009 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია 128 ლარის დანაკლისი, რომლის დაფარვა საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსის განმარტებით მოხდება 2010 წელს.

2009 წელს შემენილია 95,0 ათასი ლარის ძირითადი საშუალება. აქედან 30,8 ათასი ლარის ძირითადი საშუალება შემენილია ადმინისტრაციისთვის (კომპიუტერები - 2,8 ათასი ლარის ღირებულების, მობილური ტელეფონები - 1,6 ათასი ლარის ღირებულების, ტელევიზორები - 1,7 ათასი ლარის ღირებულების და ავტომანქანა 23,6 ათასი ლარის ღირებულების და სხვა).

6. ფინანსური ანგარიშების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან

კერძო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი

¹¹ ბასს 16 - ძირითადი საშუალებები, პუნქტი 6.

სტანდარტების შესაბამისად¹². ბასს-ის მიხედვით კი, ფინანსური ანგარიშგება ხასიათდება, როგორც საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების შესახებ უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისის შემცველი დოკუმენტაცია. ის აგრეთვე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართვის შედეგებს¹³.

საწარმოს 2008-2009 წლებში შედგენილი აქვს საწარმოს ბალანსი, მოგება-ზარალის წლიური ანგარიშგება და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, რაც არასაკმარის ინფორმაციას იძლევა საწარმოს საქმიანობის შესახებ. ბასს-ის მიხედვით საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა წარადგინოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც¹⁴. ხოლო ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი გარდა ბალანსის, მოგება-ზარალის წლიური ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა მოიცავს პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია¹⁵. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საწესდებო კაპიტალი და მოგება/ზარალი არასწორად არის გაანგარიშებული (რაც განხილული იყო წინა საკითხებში), მაშინ წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის საიმედო (რაც ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია), უტყუარი და სამართლიანი.

საწარმოს ბალანსში სარეზერვო კაპიტალი შეადგენს 317,0 ათას ლარს. წარმოდგენილი ცნობით აღნიშნული კაპიტალი შედგებოდა დაგროვების, მოხმარების და წარმოების განვითარების ფონდებიდან, რომელიც ყოველწლიურად ივსებოდა წმინდა მოგებით და მცირდებოდა მოგებიდან გათვალისწინებული გაწეული მატერიალური დანახარჯებით. 2005 წლიდან სარეზერვო კაპიტალი უცვლელია.

რეკომენდაცია:

- საწარმომ აწარმოოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უტყუარი და სამართლიანი ინფორმაციის წარდგენის მიზნით.
- იქიდან გამომდინარე, რომ საწარმო 2005 წლიდან არის ზარალიანი, კარგი იქნებოდა დამფუძნებელთან ერთად ემსჯელა სარეზერვო კაპიტალის შემდგომ განკარგვაზე.

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

¹² საქართველოს კანონი «ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ», მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

¹³ ბასს 1- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, მე-9, მე-10, მე-15 პუნქტები.

¹⁴ ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, 36-ე პუნქტი.

¹⁵ ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, მე-10 პუნქტი.

“საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ კონტროლის პალატაში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96, ასევე სასამართლოში - კანონით დადგენილი წესით.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორები:



ქეთევან ზოზიაშვილი

ბორის მჭედლიშვილი